სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/185

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის წესი და კრიტერიუმები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

დანართი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის წესი და კრიტერიუმები

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები შეირჩევა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესისა და კრიტერიუმებისშესაბამისად

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატმა განცხადება რექტორის სახელზე საუნივერსიტეტო სადისერტაციო საჭოს წევრობის შესახებ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარადგინოს სტუ-ის კანცელარიაში დასარეგისტრირებლად, ფორმალური შემოწმების მიზნით განცხადება რექტორის რეზოლუციით და თანდართული საბუთები გადაეცემა დოქტორანტურის დეპარტამენტს.

2. დოქტორანტურის დეპარტამენტი ამოწმებს საბჭოს წევრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ფორმალურ შესაბამისობას მოთხოვნილ კრიტერიუმებთან და გადასცემს აკადემიურ საბჭოს.

3. აკადემიურ საბჭოზე საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატურების კენჭისყრა ჩატარდება ფარულად, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. წევრობის კანდიდატს ხელმეორედ კენჭისყრაზე კანდიდატურის დაყენების უფლება არ ეძლევა.

5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საჭოს შექმნის მიზნით გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ავრცელებს ინფორმაციას საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და კონკურსის ვადების შესახებ.

6.საბჭოს სრული შემადგენლობის არჩევის შემთხვევაში დოქტორანტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბჭოს პირველი სხდომის მოწვევას. პირველ სხდომას ხსნის რექტორი/რექტორის მოადგილე, რომელიც განიხილავს საკითხს საბჭოს მიერ უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

7. საბჭოს სამი-ხუთი წევრის მიერ კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს და დაამტკიცებს თავმჯდომარეს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

კრიტერიუმები

1. კონკრეტული (მოცემული) დარგის/სპეციალობის მეცნიერი*;

2. მონაცემები დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ, დარგის/სპეციალობის მითითებით;

3. მონაცემები პუბლიკაციების შესახებ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში და საერთაშორისო გამოცემებში (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ შრომებს);

4. მონაცემები რეცენზირებული გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების შესახებ, თემატიკის მიხედვით;

5. პატენტები, დანერგვები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები;

6. გამოშვებული დოქტორანტები სადისერტაციო საბჭოს სპეციალობის შესაბამისი თემატიკით.

*დარგის/სპეციალობის მეცნიერი – ეფუძვნება შემდეგ თვლად ინდიკატორებს, როგორიცაა: რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში და საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, პატენტები, დანერგვები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები; ეროვნული აკადემიის წევრობა, დარგობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიების წევრობა, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაუარიატები, საექსპერტო საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციები.